

კ @ ვკ აზნია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №4, აპრილი

ნომრის თემა: დათრგუნვის პრაქტიკა

სარჩევი

საქართველო	სტერეოტიპის ანბანი
ტაჯიკეთი	ამ ტუტუცმა დედამთილისა და ქმრის ჯიბრზე თავი დაიწვა
უზბეკეთი	„ჯადოქრებზე ნადირობა“ გაჩაღებულია
თურქმენეთი	ვის დასტირის სისხლის სამართლის კოდექსი ქორწინების პირველ ღამეს
ყირგიზეთი	...პლუს მთელი ქვეყნის სულთანიაცია სადეპუტატო ფიქრები და განცდები
აზერბაიჯანი	კრიმინალური ქსელიდან – ოჯახურ წნეხში მათი ტანჯვა სულაც არ სრულდება გათავისუფლების შემდეგ
სომხეთი	ოჯახის კერა კარგად გიზგიზებს შორიდან არ ჩანს, რა ან ვინ იწვის მასში
საქართველო	მოხუცი და ახალგაზრდა – სულ ერთია
ტაჯიკეთი	სინათლეს+სითბო=ღირსეულ ცხოვრებას არითმეტიკის გაკვეთილები ტაჯიკი პოლიტიკოსებისათვის
ყაზახეთი	მორჩილების სინდრომი მშობლებს არაფერი აქვთ სასიხარულო
საქართველო	ხელისუფლებას ამ ადამიანების არსებობაც კი არ ახსოვს
უკრაინა	„ხიშტების“ კრიტიკული დღეები არმია თავის რიგებში კი იღებს, მაგრამ ფსიქიკაზე ახდენს ზეწოლას
კაკვაზია	გენდერის კარიერის გენერლები ორსახოვანი არა მარტო მანანაა (თემის გაგრძელება)
დანია	ვიკინგებიც ტირიან და ფსიქორეაბილიტაცია ესაჭიროებათ
ყაზახეთი	რბილი ვილიოტინა მოსაწყენი გაზეთებიდან



ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

დედის გასაჭირი

სტერეოტიპის ანბანი, მანიპულირების სკოლა, ორმაგი სტანდარტის პრაქტიკუმი

გახსოვთ თქვენი რუსული ენის პირველი წიგნი – ანბანი? დედა ჩარჩოებს წმენდდა, ხან მილას ბანდა, მამა კი სადღაც აბსტრაქტულად „მუშაობდა“... პირველ ასობთან ერთად კარგად შევიცნობდით საოჯახო საქმეების გადანაწილებასაც: თურამე გასარეცხია – დედისაა, სამუშაო – მამის. შეგნება იმისა, რომ ჩარჩოების რეცხვა და ბავშვების დაბანაც მუშაობაა – შედარებით გვიან გვეწვია. და დღემდე, სამწუხაროდ, ყველა არ მისულა ამ დასკვნამდე.

გახსოვთ დავალება უცხო ენების სახელმძღვანელოდან „აღწერეთ სურათი“? ხშირად აღსაწერი ოჯახური იდილიის სურათი იყო: ბავშვები თამაშობენ ან მეცადინეობენ, ბაბუა და მამა ტელევიზორს უყურებენ ან გაზეთებს კითხულობენ, ბებია წინდებს ქსოვს, დედა კი აუთოვებს. მამას რომ ეუთოვებინა, ბაბუას ექსოვა, დედას და ბებიას კი კულტურულად დაესვენათ ტელევიზორთან, ჩვენ, ალბათ, გაკვეთილს ჩავშლიდით – იმდენად სასაცილოდ მოგვეჩვენებოდა „ნორმიდან“ ასეთი გადახრა. მეხუთე კლასში ჩვენ უკვე კარგად ვიცოდით, ვის რა უნდა ეკეთებინა – კარგა ხანია, პირველმა ანბანმა თავისი შავი საქმე გააკეთა.

სასკოლო პროგრამა, რომელიც მეცნიერების საფუძვლებს გვაცნობდა, ჩუმიდ გვეჩურჩულებოდა, გვაპინოზებდა და გვაპროგრამებდა. ჩვენი ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე წინაპრები ცდილობდნენ დაერღვიათ ეს წესები, მაგრამ ამის შესახებ სასკოლო პროგრამა მხოლოდ სხვათა შორის და საკმაოდ გვიან გვესაუბრებოდა – „დედებისა“ და მამების“ ისტორიულ ბრძოლას თანაბარი უფლებებისათვის მხოლოდ

ისტორიის რამდენიმე გაკვეთილი ეთმობოდა და ისიც მაღალ კლასებში.

როცა უკვე ძალიან გვიან იყო. სკოლა არა მარტო გვახვევდა თავს სტერეოტიპებს, არამედ თრგუნავდა ბუნებრივს – ვფიქრობ, ყველასათვის – ცხოვრებაში წონასწორობისა და ჰარმონიისაკენ სწრაფვას. და აი გავიზარდეთ. ჩვენ ვმუშაობთ, როგორც ის „მამა“ ანბანიდან, თუმცა სინამდვილეში ჩვენ „დედებიც“ ვართ. სამსახურის შემდეგ, როგორც გვასწავლეს, „ვწმენდთ ჩარჩოებს“, ან „ვბანთ მილას“ – ვისაც გვყავს.

ჩვენ, როგორც იმ სულელურ სურათზე ინგლისურის წიგნში, ვაუთოვებთ „მამის“ პერანგებს, რადგან „მამა“ ხვალ სამსახურში მიდის. ჩვენც ადრე ვართ ასადგომი, მაგრამ ვაუთოვებთ მამაც ჩვენ – ჯერ მისას, შემდეგ საკუთარს. იმიტომ, რომ „მამამ“, თურმე, ჯერაც ვერ ისწავლა რეცხვა და „მილას“ დაბანა, წმენდა, უთოობა, გრიპის მკურნალობა, საუზმის მომზადება და ფულის ეკონომია.

ჩვენ გავიზარდეთ, მაგრამ მამაც იმ მორჩილ გოგონებად დავრჩით, პირველი „ა“ კლასის ფრიადოსნებად. ვამბობთ: „რა მოხდა მერე! როგორმე გავართმევთ თავს“... ყველაფერი გვესმის, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეგვიძლია.

ჩვენ ხომ ასე გვასწავლეს.

ლიანა პეტრიაშვილი, საქართველო

მანბუბა სულთანოვა,
ტაჯიკეთი

შოკი

დუმილი – ათასების სიკვდილია

ქალების თვითმკვლელობა უკვე
ეროვნულ უბედურებად იქცა,

თუმცა საზოგადოება არ აპირებს
ამის საჯაროდ განხილვას


მანამდე, სანამ ქალთა თვითმკვლელობების კვლევის პროექტში დავიწყებდი მუშაობას, ისევე, როგორც სხვები, იშვიათად დაგვიქრებულვარ ამაზე. გაიგებ მორიგ საშინელებას, შეგზარავს – ღმერთო, დაგვიფარე, კარგი ცხოვრებისგან არ სჩადიან ამას ახალგაზრდა ქალები... მაგრამ დაღვა დღე, როდესაც ჩვენ, კრიზისულ ცენტრ „გულრუსსორის“ თანამშრომლებმა, გადავწყვიტეთ ამ საშინელი პრაქტიკის კვლევა. მხარი მამა კემის ფონდმა დაგვიჭირა.

„ახლანხან ერთმა რძალმა დედამთილის შესაშინებლად თავი დაიწვა. საწყალი დედამთილი, ორი კვირა სამსახურში არ გამოჩენილა“. ამ სიტყვებს თუ ჩაუფიქრდება, ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, ალბათ, ცუდად გახდება. ეს პირდაპირ კლასიკაა აღმოსავლური დედამთილობის ინსტიტუტის თემაზე, როცა დედამთილი რძალზე იყრის ჯავრს ახალგაზრდობაში თავს გადასდენილი ტანჯვის გამო. და კიდევ, იმავე რესპონდენტმა გვითხრა: „ის მძიმე დღეები, რომელიც მე გადავიტანე, არავის უნახავს და მე ჯერ იმის 10%-ც კი არ გამოიკეთებია ჩემი რძლისათვის, რასაც მე დედამთილი მიშვებოდა“.

პერიოდულად ქალაქში საშინელი ხმები ვრცელდება: ქმარმა ჯერ აწამა, მერე დაახრჩო; ახალგაზრდა ქალი ბავშვებიანად მდინარეში გადავარდა; ორსულმა რძალმა იგივე ჩადინა. ქმარმა ცოლი ცემა, მერე სახლში ჩაკეტა და წავიდა. მეზობლებმა გაიგონეს ყვირილი, ქალი შევლას ითხოვდა, კარი შეამტვრიეს და დაზარალებული საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა. დღეს კრიზისულ ცენტრ „გულრუსსორში“ ძაძებით შემოსილი ორი ქალი მოვიდა. ისინი კიდევ ერთი უბედურის დედა და იყვნენ. დედის მონათხრობით, სიმძიმე მისი ქალიშვილი ცემა, სამართლებლით დაჭრა და ფანჯრიდან გადაავლო. ქალი რეანიმაციაში გარდაიცვალა.

ამის ნახევარიც რომ სიმართლე იყოს – ბარბაროსობა არაა?!

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო



– არც საქორწინო კაბა ამირჩევია, საქმროც კი არ მინახავს თვალთ. მე არავინ არაფერს მეკითხებოდა. თანხმობაც კი არ უკითხავთ. თეთრი კაბა ჩამაცვეს და მომიშორეს. ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ, მგონია, რომ ჩემს ნაცვლად ვიღაც სხვა იყო.

– თავს მოსამსახურედ ვგრძნობდი. კარგი დამლაგებელი და მზარეული – ყველაფერი ჩემზე იყო. ქმარს სახლში მეგობარი ქალები მოჰყავდა და მაიძულებდა მათ მოვმსახურებოდი. წყენამ დამბარმავა, მინდოდა, შური მეძია, რომ მთელი ცხოვრება ტანჯვაში გაეტარებინა, ღამ-ღამობით დავსიზმრებოდი და აღმოდებული პირით მეყვირა, სამუდამოდ ჩაკეტილიყო მისთვის სამოთხის კარი, რომ არასოდეს დავიწყებოდა თავისი ბოროტება და მე.

– ასე ვიცხოვრე ამ ოჯახში 20 წელი, 3 შვილიც გავაჩინე. ცემისგან მუდმივი თავის ტკივილები მაქვს, ერთ ყურში არ მესმის, ერთი ნესტოთი ვერ ვსუნთქავ, კბილები ჩასმული მაქვს. როცა ვთხოვდებოდი, 58 კგ-ს ვიწონიდი, ახლა ჩემი წონა 40კგ-ია...

– მაზლი მთვრალი იყო, დაუფიქრებლად აიღო არმატურა და ცემა დამიწყო. ბავშვები აყვირდნენ. მეზობელმა პოლიკლინიკაში წამიყვანა. ფეხები მაქვს გადამტვრეული. ქმარმა თქვა, რომ თვითონ ვარ დამნაშავე, ცოლს კიდევ იშოვის, ძმას კი ვერა.

– ქმარმა ძლიერად მცემა. ჩემი ბავშვები არ გამომექო-მაგნენ. გასაკვირიც არაა, ისეთ გარემოში გაიზარდნენ და ისეთი გარემოცვა ჰყავდათ, რომ მამაკაცები მუდამ მართლები არიან. და ჩემი შვილები... ჩუმად შესცქეროდნენ, როგორ მცემდა მათი მამა. მოთმინების ფიალა ამეგსო და გადავწყვიტე, თავი მომეკლა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდა. ფარულულში გავიქექი, სადაც თოკი მქონდა დამალული. ის, რომ ცოცხალი დავარჩი, მხოლოდ უფლის წყალობაა, მაგრამ იმ მომენტში სხვა არაფერი იყო, გარდა ტკივილისა.

(პროექტის ჩარჩოებში შეკრებილი ინტერვიუებიდან)

სუიციდის მოტივები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ძალზე ხშირად გამოუძიებელი რჩება ან ოჯახის გარეთ არ გადის. პროექტის ჩარჩოებში 41 სიუჟეტი გამოვიკვლიეთ – ერთი მეორეზე უარესი, ქალების მიერ თავის მოკვლის 41 ცდა. ზოგჯერ, მსხვერპლთან მრავალსაათიანი საუბრის შემდეგ, თავად ინტერვიუერს სჭირდებოდა ფსიქოლოგის დახმარება. ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, ვინ იყვნენ ეს ქალები – როგორ პირობებში გაიზარდნენ, როგორ გარემოში ცხოვრობდნენ გათხოვებამდე და გათხოვების შემდეგ. კითხვარების შედეგებისას გვინდოდა გაგვეგო – შეეძლო თუ არა ვინმეს (ან რაიმეს) მომხდარის თავიდან აცილება და როგორ? გვინდოდა გამოგვეკვლია მათი ფიქრები და განცდები სუიციდის მცდელობის მომენტში და მომხდარის გააზრება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ ქალების დახმარება, მათი სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ჩატარებული კვლევის მთავარი შედეგი: თვითმკვლელობის მცდელობის უპირველესი მიზეზია ოჯახური ძალადობა.

თვითმკვლელობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ოჯახის ეკონომიკური დაუცველობა და ქალის სრული მატერიალური დამოკიდებულებაა. სუიციდის მნიშვნელობით მესამე მიზეზად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დამკვიდრებული სტერეოტიპები და ტრადიციონალიზმი. ბევრ ქალს გაყრის უფლებას არ აძლევდნენ, ისინი იძულებულნი იყვნენ მოეთმინათ ძალადობა ახლობლების გაკიცხვის შიშით. კვლევა ეს-ესაა დასრულდა, დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ანალიზისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად. ჩვენ ხმამაღლა გვინდა განვაცხადოთ, რათა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს, რომ ქალთა სუიციდის ძირითადი მიზეზი ოჯახური ძალადობაა. დღემდე ეს საშინელი პრობლემა საზოგადოებამ ვერ აღიქვა. ათასობით ქალი მანიპულირებისა და გაჩუქების მსხვერპლია.

გამაგრდი, უმიდა!



უზბეკეთი
დესპოტიზმი მოქმედებაში

უმიდა ნიაზოვას საქმე სასამართლოს გადაეცა

იგი 21 იანვარს დააპატიმრეს („კავკაზია“ ამის შესახებ თებერვლის გამოშვებაში წერდა). მისმა დაპატიმრებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა, მის დასაცავად მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია გამოვიდა (შეგახსენებთ! თქვენი ხელმოწერა უმიდას მხარდასაჭერად შეგიძლიათ დატოვოთ აქ: <http://petition.org.ua/?action=view&id=349>)

პროკურატურა საქმეს სასამართლოს გადასცემს. უმიდა ნიაზოვას ადვოკატის მონაცემებით, მას ბრალი უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით წაუყენეს:
223. „უკანონო გავსლა საზღვარგარეთ ან უკანონო შემოსვლა უზბეკეთის რესპუბლიკაში“,
244.1. „საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საშიში მასალების მომზადება და გავრცელება“,
246. „კონტრაბანდა“.
ამასთან, ჟურნალისტებსა და უფლებადამცვეებზე ზეწოლა ძლიერდება. ქვეყანას უმიდას კოლეგების დაკითხვის ტალღამ გადაუარა, ზეწოლისათვის ფორმალურ საბაბებს იყენებენ. ნატალია ბუშუევა ტაშკენტიდან, რომელიც ბოლო სამი წლის მანძილზე რადიო „გერმანული ტალღის“ სტრინგერად მუშაობდა, პირველი ჟურნალისტი გახდა, რომელსაც ბრალი მთავრობის 2006 წლის თებერვლის დადგენილების დარღვევაში წაუყენეს. მის თანახმად, ჟურნალისტებს ეკრძალებათ უცხოურ საინფორმაციო საშუალებებში მუშაობა უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აკრედიტაციის გარეშე.

გარდა ამისა, ნატალია ბუშუევას ბრალი გადასახადების გადაუხდელობაშიც დასდეს, რომელიც 3000 აშშ დოლარს უტოლდება. მოგვიანებით უზბეკეთის სამართალდამცავმა ორგანიზებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს რადიო „გერმანული ტალღის“ კიდევ ორი ჟურნალისტის წინააღმდეგ, დასდეს რა მათ ბრალი ლიცენზიის გარეშე მუშაობაში. ეს დევნა დამოუკიდებელი ჟურნალისტების წინააღმდეგ უზბეკეთში წამოწყებული კამპანიის გაგრძელებას წარმოადგენს. 32 წლის უმიდა ნიაზოვას დაპატიმრება შოკი იყო მისი კოლეგებისათვის, რომელთაც ვერც კი წარმოედგინათ, რომ უმიდასაგან შეიძლება დამნაშავე შეექმნათ. მაგრამ არც იმას მოელოდნენ მაშინ, რომ ეს დაპატიმრება უზბეკეთში ჟურნალისტებისა და უფლებათა დამცველების წინააღმდეგ გაჩაღებული რეპრესიების ახალი ტალღის სათავე გახდებოდა.

uznews.net-ის მონაცემები
http://www.uznews.net/index.php?option=com_content&task=blogsection&id=3&Itemid=53

**გარდა ამისა,
უზბეკეთში**

ქალებს ასამართლებენ

რელიგიური ექსტრემიზმის ბრალდებით

როგორც უზბეკეთის დამოუკიდებელ უფლებადამცველთა საინიციატივო ჯგუფის პრეს-ცენტრი იუწყება, 2007 წლის 29 მარტს ტაშკენტის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე 7 ქალის პროცესი დაიწყო, რომელთაც ბრალად ედებათ პარტია „ხიზბ-უტ ტახრირის“ წევრობა.

ბრალდებულის სკამზე იმყოფებიან კ.ა. რიზაევა, ი. შახოდატხუჯაევა, ფ. სოათბეკოვა, დ. ნურმატოვა, ა. ნაბიევა, შ. კოსიმოვა, ბ. ზიაევა. დაკავებულებს ბრალად ედებათ უზბეკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის ხელყოფა, საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საშიში მასალების მოძიება და გავრცელება, რელიგიურ-ექსტრემისტული, სეპარატისტული, ფუნდამენტალის-

ტური ან სხვა აკრძალული ორგანიზაციების შექმნა, ხელმძღვანელობა, მათში მონაწილეობა. ყველა ბრალდებული ქალი ტაშკენტის მკვიდრია, მათი საშუალო ასაკი 30 წელია, თითოეული მათგანი 3-5 არასრულწლოვანი ბავშვის დედაა. ბრალდებულები იმათი ცოლები და ახლო ნათესავები არიან, ვისაც თავისი რელიგიური მრწამსისთვის ხელოვნურად შეითთხნილი სისხლის სამართლის საქმის გამო ხანგრძლივი პატიმრობა აქვთ მისჯილი. ბრალდებულთა ახლო ნათესავების სიტყვებით, ქალებზე სისხლის სამართლის საქმე ხელოვნურად შექმნეს, მათზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა აღიარებოდათ ჩვენება მიეცათ პარტია „ხიზბ-უტ ტახრირთან“ კავშირის თაობაზე.

იუწყება „ფერგანა.რუ“:
<http://www.ferghana.ru/news.php?id=5565&mode=snews>

აღინა შაპოვალოვა,
თურქმენეთი

ქორწინება - კოდექსით

ღამის საშინელება,

ანუ

მისი პირველი საქორწინო ღამე

თეთრი კედლები, მაღალი საწოლი. იოდის, ქლორისა და კიდევ რაღაც მხოლოდ საავადმყოფოსათვის დამახასიათებელი სუნი. ეს სწორედ საავადმყოფოა – დედათა და ბავშვთა ჰოსპიტლის რეანიმაცია. დილით რთული ოპერაცია გამიკეთეს, ახლა საღამოა და უკვე თითქმის გამოვედი ნარკოზიდან. უხმაურად შემოდის ექთანნი გული, რომელსაც თან შპრიცები მოაქვს. უთვალავ ნემსს მიკეთებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ტკივილს ვერ ვგრძნობ და მშვიდად ვარ.

– ეჰ, ნეტავ მშვიდი ღამე იქნებოდეს, დავწვებოდი თავისუფალ საწოლზე და დილაძღე დავძინებდი, – ოცნებობს გული და თან ნემსისთვის მამზადებს. მე თვალი გვერდზე გამიბრის: ჩემი საწოლი ფანჯარასთან დგას, იქვე ორი საწოლი თავისუფალია. პალატაში მარტო ვარ. ფანჯრებქვეშ მანქანის ხმა გაისმა, მერე კარების ჯახუნი, ხმები. ექთანმა სწრაფად მიიბრინა ფანჯარასთან. – აჰა, „სასწრაფო“ მოვიდა, ვილაც მოიყვანეს. აი ჩემი მშვიდი ღამეც. – ჩაილაპარაკა მან. ერთ საათში ჩემს პალატაში საკაცით ვილაც შემოიყვანეს, თავ-ფეხიანად საბანში გახვეული. იწვა და კვნესოდა, თან ჩუმად ტიროდა. ერთ-ერთი სანიტარი რაღაცას ალერსიანად ეუბნებოდა თურქმენულად, ამშვიდებდა. ქალებმა ავადმყოფი საწოლზე გადააწვინეს და იმან, ვინც ამშვიდებდა, ალბათ, მე რომ გამეგო, რუსულად დაამატა: – ეცადე, ჩემო კარგო, დაიძინო და არაფერზე იფიქრო. – ტკივილდამაყუჩებელი ჯერ იმოქმედებს, მერე კი, თუ საჭირო იქნება, ნემსს კიდევ გაგიკეთებ, – უთხრა გულიმ. ცოტა ხანში პალატაში ჩვენ ორნი დავრჩით. ახალმოსული მიჩუმდა, ეტყობა, ჩაეძინა. მეც ძილმა წამილო. შუაღამეზე ტირილმა გამაღვიძა. ჩემი მეზობელი ჩუმად, მაგრამ გულამოსკვნით ტიროდა.

– ჰეი, – დავიძახე მე, – რამე გტკივა? გინდა, ექთანს დავუძახებ, ნემსს გაგიკეთებს.

არც მიპასუხა და არც ტირილი შეწყვიტა. უცებ საბანი გადაძვრა და სახე გამოუჩნდა. სათვალის ძეხნაში ჭიქა გადავაყირავე და ხმაურზე გული შემოვიდა.

– აბა, რა ხდება, ვინმე ცუდადაა?

ბოლოს და ბოლოს სათვალეს მივაგენი და მეზობლის სახე კარგად გავარჩიე. ღმერთო ჩემო, სულ ბავშვია! ჩემი 22 წლის ქრისტინე ნამდვილად მასზე უფროსი იქნება. ნეტავ რა უნდა სამშობიაროში? გულიმ გოგონას საწოლთან სკამი მიაჩოჩა, თმებზე მოეფერა და დამშვიდება დაუწყო.

– იტირე, იტირე, მოგეშვება. თუ გინდა, გასაჭირი გამანდე.

გოგონამ გადმომხედა.

– ნუ გერიდება, თურქმენულად მელაპარაკე. ის რუსია და ვერ გაიგებს, – უთხრა ექთანმა და მორიდებით გამომხედა... არც გამკვირვებია – ყველას ხომ არ უნდა თავისი ამბავი სხვას გაუხშილოს. ფანჯრისკენ გადავბრუნდი და ჩემი ქალიშვილი გამახსენდა. როგორ დავიფართო შეილი გასაჭირისაგან, უბედურებისაგან, რომ არავინ დაჩაგროს? როგორ ავაშოროთ ფიზიკური თუ მორალური ტკივილი? ამ ფიქრებში ჩამეძინა.

ღილით პალატაში კვლავ მარტო ვიყავი. გამიკვირდა და შემოსულ გულის ვკითხე, სხვა განყოფილებაში ხომ არ გადაიყვანეთ-მეთქი.

– არა, ნათესავეებმა წაიყვანეს, – გაბრაზებით მიპასუხა მან. – ჩემი და რომ ყოფილიყო, არ გავატანდი!

– იცით, რა დემართა? – შემომხედა მან და გააგრძელა: – გუშინ მისი ქორწილი იყო, ასე ვთქვათ, პირველი ღამე. ის ნადირალა სიძე გამოთვრა და მხეცივით დაეძგერა საწყალ გოგოს. ისე დაუგლიჯა ყველაფერი, რომ ქირურგებს ამოკერვა დაჭირდათ. მისმა ენგემ (ნათესავი ქალი, რომელიც თან ახლავს პატარძალს და პირველ ღამეს შორიანხლოს ატარებს) მისი ყვირილი გაიგონა და ოთახში შესვლა უნდოდა, მაგრამ სიძის ნათესავეებმა არ გაუშვეს. თუმცა, როცა პატარძალმა ხმამაღლა მოუხმო მას, ენგემ ბიჭის დედა ჩამოიშორა და ოთახში შევარდა.

გულის სიტყვებით, დანახულმა ქალი შოკში ჩააგდო: სიძე ხვრინავდა, 18 წლის პატარძალი კი დასისხლიანებული ხმამაღლა ტიროდა. გოგო კანკალებდა, ლაპარაკი არ შეეძლო, მთელი თეთრეული დაგლეჯილი ეყარა.

ამ დროს ოთახში ბიჭის დედა და უფროსი რძალი შემოვიდნენ. დანახულით სახტად დარჩენილები ახალ რძალსა და მის ნათესავს სახლში დარჩენას ეხვეწებოდნენ, მაგრამ ენგემ „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა.

– ღილით ეს ორი ქალბატონი მოვიდა და გოგო წაიყვანეს, – დაასრულა ექთანმა.

– მერე, მისი მშობლები, როგორ შეხვდნენ ამას? – ვკითხე მოსმენილით შეძრულმა.



ყოველთვის და ყველასთვის კი არ არის ქორწილი მხიარული დღესასწაული...

ავტორის ფოტო

– მშობლები? მათ ურვადი აიღეს, ჩათვალე – სხვა ოჯახს მიჰყიდეს და ახლა პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. რა თქმა უნდა, ეცოდებათ, მაგრამ არაფერს გააკეთებენ. ასე ნუ ნერვიულობთ! – წამოიძახა გულიმ ჩემი ცრემლების დანახვისას. – ასეთ სიტუაციას ჩვენ ძალზე ხშირად ვაწყვდებით.

– როგორ?

– თითქმის ყოველ შაბათს! ქორწილების დღეა – რომელიმე ახლადგამომცხვარი სიძე აუცილებლად გააუპატიურებს პატარძელს! არა, ყოველ კვირას არა, მაგრამ ხშირად, – გაასწორა გოგონამ. – თუმცა, რატომ უნდა გააუპატიურო, მაინც შენი არ არის? სად გაგე-ქცევა...

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. კარგა ხანია, დავიწყებას მიეცა ჩემი ოპერაცია. ქალიშვილი გავათხოვე, ბებიაც გავხდი. მაგრამ ის ბავშვური ტირილი მეხსიერებიდან არ მშორდება.

ალა პიატიბრატოვა,
ყირგიზეთი

ოცნებაც არ შეიძლება?

მე რომ სულთანის ვიყო



დეპუტატს ერთი ცოლი ჯერ სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ იმათზე ზრუნავს, ვისაც ეცოტავება

ფოტო
პოლინა მილორადოვიჩისა,
საქართველო

საპარლამენტო ინიციატივა სკანდალის ზღვარზე

ყირგიზეთის პარლამენტის დეპუტატებმა კიდევ ერთხელ მიაწოდეს ხალხს მრავალცოლიანობის იდეა. როგორც ყოველთვის, მათ ამისათვის ხელსაყრელი დრო შეარჩიეს – ქვეყანაში მდგომარეობა დღითიდღე მწვევალებს. თუმცა, ამჯერად ძველი იდეა ახლებურადაა შეფუთული. ერთ-ერთი პარლამენტარი, ავასბეკ მომუნყულოვი სერიოზულად თვლის, რომ მრავალცოლიანობა ყირგიზეთისათვის კეთილდღეობის საწინდარია, რადგან იგი მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრის ყველაზე იაფი საშუალებაა. მრავალცოლიანობა, მისი აზრით, არა მარტო გააუმჯობესებს საზოგადოების მორალურ სახეს, არამედ დემოგრაფიულ კრიზისსაც მოხსნის.

დეპუტატის ციტატა: „თუ პრობლემის მორალურ მხარეს ავიღებთ, ვფიქრობ, ამდენი გაყრა და მიტოვებული ბავშვი არ იქნებოდა. დღეს მატერიალურად უზრუნველყოფილი მამაკაცების უმრავლესობას მეორე ოჯახი აქვს. რატომ არ უნდა დავაკანონოთ მსგავსი პრაქტიკა? ბევრი დეპუტატი ცოლის შიშით ვერ ემხრობა ამ აზრს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ მათ უმრავლესობას გულის სიღრმეში უნდა ამ კანონის მიღება, მაგრამ რცხვენია სახალხოდ ამის გაცხადებისა“.

მრავალცოლიანობის შესახებ ყველა საუბარი მის დეკრიმინალიზაციას ემსახურება, ე.ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმებას – მამაკაცების ინტერესებს, რომლებსაც თავისი უკანონო კავშირების დაკანონება სურთ. ავასბეკ მომუნყულოვი იმ უბედური მამაკაცების ბელზე წუხს, რომლებიც პირველ ცოლს ვერ გაეყარნენ და ამიტომ მეორესთან თავისი ურთიერთობა ვერ დააკანონეს. თუმცა იგი ძალზე აზვიადებს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ

მამაკაცთა რიცხვს. იქნებ, პარლამენტარებს მართლაც შეუძლიათ იყოლიონ ჰარამხანა, უზრუნველყონ თავისი ცოლები ბინებით, მანქანებით და სხვა კეთილდღეობით, მაგრამ რამდენ ყირგიზს უწევს თავისი ქვეყნის გარეთ მუხლჩაუხრელი შრომა თუნდაც ერთი ოჯახის გამოსაკვებად?

თუ რატომ არ არიან რესპუბლიკაში მზად პოლიგამიისათვის არც ქალები და არც მამაკაცები და რატომ არ შეუძლია მრავალცოლიანობას გადაწყვიტოს დემოგრაფიული პრობლემა, აგვიხსნა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, მემან-გინეკოლოგმა ზეინებ ისრაილოვამ: „ქორწინებათა 44% ჩვენში უნაყოფოა. უპირველესად, მამაკაცთა გამო. ისინი მრავალცოლიანობისთვის მზად არ არიან არა მარტო მატერიალურად და სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. ისევე, როგორც გოგონები. რატომ? ჩვენ არა გვაქვს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროგრამა. პროფილაქტიკური გასინჯვები ძველებურად არ ტარდება. მედიკოსები სათანადოდ ორსულებსაც ვერ იკვლევენ. ამიტომაც მშობიარობის 40,6% სხვადასხვა პათოლოგიით მიმდინარეობს. აი, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა ცალკეული მამაკაცის სურვილს, რომლებიც თავად წყვეტენ, რა უნდა ქალს და რა სჭირდება. რატომ არ მოსდით ქალებს თავში მრავალქმრიანობის დაშვების უფლება? ხომ არიან უზრუნველყოფილი ქალები, რომლებსაც არაერთი მამაკაცის შენახვა შეუძლიათ“.

ზოგიერთ მამაკაცს მიაჩნია, რომ ქალებს, რომლებიც მრავალცოლიანობას ეწინააღმდეგებიან, რალაც კარგად არ ესმით ან უბრალოდ თავის განწყობას მალავენ. სინამდვილეში კი ყველა თუ არა, ბევრი ბედნიერად ჩათვლის თავს მეორე ან რიგით სხვა ცოლად გახ-

დომისას. ქმარი ყველაფრით უზრუნველყოფს, მათ შორის, შრომითაც (როგორც ჩანს, საოჯახო საქმე იგულისხმება). ისეთი კატეგორია, როგორც სიყვარული, საერთოდ არ განიხილება. მთავარი, მრავალცოლიანობის მომხრეთა აზრით, გაუთხოვარი ქალების რიცხვის შემცირებაა. თუმცა, საინტერესოა, ბევრი აღმოჩნდება მსურველი შეერთოს მრავალშვილიანი ქვრივები, მიტოვებულები, ულამაზოები, ასაკოვანნი, მართლაც დედები? ლოგიკურად, ხომ სწორედ ასეთ ქალებზე ზრუნავნ მამაკაცები. ამ კითხვას „მრავალცოლოსნები“ უპასუხოდ ტოვებენ. ისევე, როგორც კითხვას: რომელ თქვენგანს სურს გახდეს მეორე ან მესამე ქმარი?

სხვათა შორის, თავად დეპუტატი მომუშაოლოვი აღიარებს, რომ მრავალცოლიანობის უფლებით არ ისარგებლებდა, ოჯახში მეორე ცოლს არ მოიყვანდა, რადგან „ძალიან უყვარს და აფასებს მეუღლესა და შვილებს“. გამოდის, თვითონ არიდებს თავს მშობლიური ქვეყნის ეკონომიკური პრობლემის „იაფფასიან გადაწყვეტას“. სხვებს კი მოუწოდებს ამისაკენ და იმ უჩინარ ქალებს ახსენებს, რომლებიც ოცნებობენ ისარგებლონ კონსტიტუციით მინიჭებული „ბედნიერების უფლებით“. ალბათ, ეს ქალები დაბადებიდან იმაზე ფიქრობენ, როგორ გახდნენ მეორე ან მესამე ცოლი. დეპუტატს (და მის თანამზრახველებს) რატომღაც

აზრადაც არ მოსდით, რომ მრავალცოლიანობის მეშვეობით ერთი პრობლემის გადაწყვეტის მცდელობისას საზოგადოება აუცილებლად დადგება ახალი, უპირველესად, მორალურ-ეთიკური პრობლემის წინაშე. და რომ მრავალცოლიანობა სინამდვილეში ქალთა დისკრიმინაციის „ყველაზე იაფი საშუალებაა“.

სხვათა შორის ეს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის დანაშაულია

ყირგიზეთის პარლამენტმა მრავალცოლიანობის შესახებ ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში კენჭისყრით მაინც არ მიიღო. სკანდალური კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 75-დან 42 დეპუტატმა. (სხვათა შორის, ყველა – მამაკაცია, ამ ქვეყნის პარლამენტში ქალები არ არიან). სისხლის სამართლის კოდექსი მრავალცოლიანობისათვის კვლავ 2 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მართალია, მკაცრი კანონი პრაქტიკაზე სუსტად მოქმედებს, მაგრამ მაინც სასიხარულოა, რომ თუნდაც იურიდიული ნორმის დაცვა მოხერხდა.

ანა დათოშვილი,
საქართველო

მოხუცი და ახალგაზრდაც დაცვის ტრადიციები გადავარდა

ზეწოლის ტრადიციები ცოცხალია

ქართველებს უყვართ გამოთქმა: ჩვენ ძალიან გვიყვარს ბავშვები და პატივს ვცემთ მოხუცებს. ჩვენ, ქართველებს, რატომღაც მიგვაჩნია, რომ ბავშვების სიყვარული და მოხუცების პატივისცემა მხოლოდ ჩვენი ეროვნული თვისებაა. გამოდის, სადღაც, მსოფლიოში, უნდა იყოს ხალხი, რომელსაც არ უნდა უყვარდეს ბავშვები და პატივს არ უნდა სცემდეს მოხუცებს. ჩვენ მივეჩვიეთ იმაზე ფიქრს, რომ ეს ყველაფერი სადღაც ჰარში დაფრინავს, ყველაფერი მისითაა გაუღწეოლი და არსად გაგვექცევა. ჩვენ ხომ ასეთი ტრადიციები გვაქვს! ქვეყნის ნორმები! მაგრამ ტრადიციები მოძველდა, ნორმები შესუსტდა. უკვე ყველაფერი შეიცვალა, ჩვენ კი კვლავ გაშტერებული მზერით შევცქერით ილუზიებს და ირგვლივ ვერაფერს ვხედავთ. მოხუცები კვირარაობით ღვანან პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინ. იჭაჭებიან მიკროფონთან – აქ ვართ და მოვითხოვთ! და ითხოვენ უკვე არა პენსიებს, არამედ იმ შეღავათებს, რომლებიც ჩვენმა ახალგაზრდა მთავრობამ სულ ახლახანს გაუქმა. პენსიები ისე, დამატებით, სოლიდურობისათვის. ახალგაზრდა მთავრობის წევრები ამრეზით შესცქერიან „მეამბოხე“ მოხუცებს და ხელებს შლიან: ბიუჯეტი არ გააძლევეს საშუალებას. კულუარებში კი ერთმანეთში საუბრობენ: – ეს ხალხი ოპოზიციამ მოგვიგზავნა! – და კონკრეტულად ასახელებენ, ვის უნდა მოეგზავნა. ბავშვები კი მიწისქვეშა გადასასვლელებში მათხოვრობენ, წებოს ყნოსავენ და ჯიბეგირებთან ხელობას ეუფლებიან.

ჩვენ ხურდას ვუყვართ და პირს ვიბრუნებთ, გვავიწყდება, რომ ეს ჩვენი ბავშვებია. და რომ სინამდვილეში ისინი ძალიან გვიყვარს... ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ერი ვერ გახდება ძლიერი და ერთიანი მანამ, სანამ ჩვენი ბავშვები ბედნიერები არ გახდებიან, მოხუცები კი – მაძირები. რამდენიც არ უნდა ისაუბრონ ნატო-ში ინტეგრაციაზე.



წითელ პილპილზე უარესი სიმწარე არსებობს ღღეს საქართველოში

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

ვაფა სალენი,
აზერბაიჯანი

ტრეფიკინგი

მონობით გამოცდა

ცოცხლები მხოლოდ ერთეულები რჩებიან

კრიმინალური ქსელისაგან თავდაღწეულები, სახლში ტრადიციებისა და გაუგებრობის წნეხის ქვეშ ხვდებიან

აზერბაიჯანში ტრეფიკორების მსხვერპლთა უმრავლესობა თურქეთსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში ხვდება. ხშირად – რუსეთში, გერმანიასა და საბერძნეთში. არსებობს ინფორმაცია ქვეყნის შიგნით ადამიანებით ვაჭრობის შესახებ, მამაკაცთა გაყვანაზე თურქეთსა და რუსეთში იძულებითი სამუშაოსათვის. მაგრამ მსხვერპლთა უმრავლესობა – ქალები და ბავშვები.

2005 წელს ჩვენს ქვეყანაში მიიღეს კანონი ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ, დაინიშნა ეროვნული კოორდინატორი. 2006 წელს გაიხსნა თავშესაფარი. მისი დირექტორი გახდა მეხრიბან ზეინალოვა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სუფთა სამყარო“ ყოფილი ხელმძღვანელი. ეს ორგანიზაცია ტრეფიკინგის პრობლემებზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობს. 2005 წლიდან მთავრობამ 160 სისხლის სამართლის საქმე აღძრა ადამიანებით ვაჭრობაზე, 153 საქმე სასამართლომდე მიიყვანეს. მაგრამ ხშირად ამ დამნაშავეებს პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან ათავისუფლებდნენ, არ გამოჰქონდათ საბრალდებო განაჩენი, მხოლოდ მცირე ჯარიმებით იფარგლებოდნენ. საზოგადოებრივი მოძრაობა „სუფთა სამყარო“ მუდამ იბრძოდა დაზარალებულთა უფლებების დასაცავად, რომელთა უმრავლესობა – ქალია. ჩვენ მათი დაცვა სასამართლოშიც დავიწყეთ, როგორც საზოგადოებრივმა ადვოკატებმა.

1999 წელს მოქალაქე ი. თავის დასთან ერთად აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონიდან სამუშაოდ თურქეთში გაემგზავრა. მეზობელმა ის ოფიციალურად მოაწყო დისკოთეკაზე. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ი. და მისი და მონად გაყიდეს ერთ მთიან სოფელში ერაყის საზღვართან. ეს ქურთთა სოფელი იყო. იქ მათ გარდა კიდევ იყვნენ გოგონები დსთ-ს ქვეყნებიდან. ერთხელ ერთმა გაქცევა მოინდომა. იგი დაიჭირეს და ცოცხლად დაწვეს, სხვებს კი აიძულებდნენ ამისთვის ეყურებინათ. ამ ტრაგედიის შემდეგ ერთი ჭკუიდან შეიშალა. მაგრამ ერთ-ერთმა მსხვერპლმა მაინც მოახერხა პოლიციაში დარეკვა. ასე გადარჩნენ. თუმცა, როცა ი. სახლში დაბრუნდა, შინაურებმა არ მიიღეს. მან აქ ყველაფერი დაკარგა: ახლობლებიც, ხალხის რწმენაც და იმედიც. ჩვენი ორგანიზაცია გოგონასთან მუშაობდა. ჩვენი მეშვეობით დაიჭირეს და დასაჯეს ის დამნაშავეები, ვინც მისი ქვეყნიდან გამგზავრება მოაწყო. ჩვენ ბინით და სამუშაოთიც დავუხმარეთ. ახლა იგი ჩვეულებრივად ცხოვრობს და მუშაობს, ჩვენი ორგანიზაციის წევრი გახდა და მონობის წინააღმდეგ იბრძვის.

მეორე მაგალითი: მოქალაქე მ-ს დეიდამ მთარგმნელად მუშაობა შესთავაზა ღუბაიში. იქ ერთად გაემგზავრნენ. მხოლოდ ჩასვლის შემდეგ გაიგო მ-მ, რომ საკუთარმა დეიდამ გაყიდა. როცა პროტესტი გამოხატა, ახალმა დიასახლისმა უთხრა: „გაჩუქდი! მე შენ გიყიდე და ახლა ჩემი მონა ხარ!“ მ. იძულებით ეწეოდა პროსტიტუციას წელიწადნახევრის განმავლობაში. იგი დიასახლისს ეხვეწებოდა, აენაზღაურებინა მაინც სამუშაო, რათა სახლში დაბრუნება მოეხერხებინა. ის კი პასუხობდა: „შენ ჩემი 3000 დოლარი გამართებს. როცა ვალს დამიბრუნებ, სადაც გინდა, წადი. თუ არ იმუშავებ, უდაბნოში გაგყიდი“. მ-მ მაინც მოახერხა გაქცევა, პოლიციელები დაეხმარნენ. მან გვიამბო: „სულ რამდენიმე კაცი დაბრუნდა. დანარჩენები ან კვლავ მონები არიან, ან უკვე დაიხოცნენ. იქნებ, გამოუშვან კიდევაც, როცა უკვე აღარ დასჭირდებათ. თუ მანამდე არ დახსოვს“.

სხვათა შორის

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მოხსენება 2006 წელს მსოფლიოში ადამიანებით ვაჭრობის შესახებ. მოხსენების მონაცემებით, ამ მოვლენის მსხვერპლი ყოველწლიურად 600-800 ათასი ადამიანი ხდება, რომელთაგან 80%-ს ქალები და გოგონები შეადგენენ. მსოფლიოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა საერთო რაოდენობა, სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 12-დან 27 მილიონამდე ადამიანს უდრის.

მას შემდეგ, რაც სახლში დაბრუნდა, მ-მ ჩვენს შესახებ შეიტყო და მოგვმართა. სასამართლო პროცესი ძალზე მძიმე და გრძელი იყო. მიუხედავად სასამართლოსა და დამნაშავეთა მხრიდან ზეწოლისა, ჩვენ ვიბრძოლეთ და საქმე მოვიგეთ. ბოლოს და ბოლოს აზერბაიჯანში პირველად სასამართლოს გადაწყვეტილებით დაზარალებულმა ფულადი კომპენსაცია (6000 აშშ დოლარი) მიიღო ფიზიკური და მორალური ზიანისათვის. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეს შეგვიძლია! ახლა ხალხს სულ უფრო მეტად სჯერა ჩვენი ორგანიზაციისა და დახმარებისათვის მამაკაცებიც მოგვმართავენ. მათ სწამთ, რომ ქალები დაეხმარებიან.

სხვათა შორის

XXI საუკუნის მონები

ჩვენს დროში მონობა ყველა ქვეყანაში ფორმალურად უკანონოდ ითვლება: უკანასკნელი ქვეყანა, სადაც იგი მოშალეს, იყო მავრიტანია – 1980 წელს. თუმცა ფაქტიურად მონობა სხვადასხვა ფორმით ჯერაც არსებობს. თუ ამ მოვლენას ვიწრო, ტრადიციული გაგებით განვიხილავთ, ახლა „კლასიკური“ მონა გაცილებით მეტია, ვიდრე ისინი, ვინც 200 წლის მანძილზე აფრიკიდან ახალ სამყაროში გადაიყვანეს. თანამედროვე მონა გაცილებით იაფია და სახარბიელო ეკონომიკური თვალსაზრისით. აშშ-ში 1861-1865 წწ. სამოქალაქო ომამდე მონა თანამედროვე ფასით საშუალოდ 50 ათასი დოლარი ღირდა; ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ თანამედროვე მონა 50-60 დოლარზე მეტი არ ღირს. ამერიკის სამხრეთში სამოქალაქო ომამდე მონას მასზე დახარ-

ჯული თანხის მხოლოდ 5% მოგება მოჰქონდა. დღეს ინდოეთში სასოფლო-სამეურნეო მუშაკები, რომლებიც ფაქტიურად მონურ შრომას ეწევიან, წელიწადში 50% მოგებას იძლევიან. სექსუალურ მონებს 800% მოგება მოაქვთ.

ქალთა მონობა

ეს საერთოდ განსაკუთრებული მუხლია.

აი აშკარა ფორმები:

- იძულებითი ქორწინება, მათ შორის პატარძლებით ვაჭრობა;
- პატარძლების ყიდვა, როცა მზითვი სასიძოს მხრიდან სინამდვილეში გადახდის ფორმას წარმოადგენს;
- იძულებითი პროსტიტუცია.

წყარო: ბი-ბი-სი; სრულად – აქ:

<http://news.bbc.co.uk/hi/russian/international/newsid6481000/6481621.stm>

კარინა ნალჩაჯიანი, სომხეთი

ზმები

ეს საშინელი ჯუნგლები

ოჯახური ძალადობა – ადამიანთა ჩაგვრის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება

ისტორიები წიგნიდან „ოჯახური ცხოვრების დაზარალებული გვერდები“

...კარინე, 47 წლის, ჰყავს ორი ქალიშვილი: უფროსი – სტუდენტია, უმცროსი სკოლას ამთავრებს. ქმარი, არშაკი, ძალზე აგრესიულია როგორც მისი, ისე ქალიშვილების მიმართაც. იგი განათლებულია, თავის სფეროში წამყვან სპეციალისტად ითვლება. კარინე აღნიშნავს მის ინტელექტუალურ და ადამიანურ ღირსებებს. ისინი მოსიყვარულე წყვილი იყვნენ, იგი – სანაქებო მამა. მაგრამ ოჯახური ცხოვრების პირველი დღეებიდანვე ქმარი ეჭვიანობდა. წლების განმავლობაში ეს თვისება გაღრმავდა და ავადმყოფური ხასიათი მიიღო. საქმე იქამდე მივიდა, რომ კაცი ახლა დნმ-ის ანალიზის ჩატარებას ითხოვს, რომ შეამოწმოს, მისია თუ არა ქალიშვილები. ქმრის ეჭვიანობა გაუთვალისწინებელ ფორმებს იღებს. იგი თვითკონტროლს კარგავს, ცოლს ცემს, მისი დაზარალების მცდელობაც კი ჰქონდა. კარინემ აღიარა, რომ უკვე კარგა ხანია ვერ იძინებს, რადგან სასიკვდილო დარტყმას ელოდება. ერთხელ ეს კინაღამ მოხდა და მან ძლივს დაიხსნა თავი, სახე



სამწუხაროა, მაგრამ უარყოფითი ნიშნის მქონე გაკვეთილიც – გაკვეთილია

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

ჩამოკარა ქმარს. თუ გოგონები ჩარევას დააბიძგებენ, კაცი ცოფდება. ყველა შიმის ზარს ჰყავს ატანილი. ქმრის ახლობლები არავითარ თანაგრძობას არ იჩენენ ოჯახის მიმართ.

28 წლის გოგონა თვლის, რომ მისი არშემდგარი ოჯახური ბედნიერების მიზეზი დედამთილია. იგი ჯიუტია და ცდილობს ახალგაზრდა ოჯახური წყვილის ცხოვრების ყველა წერილობრივ იცოდეს, ამიტომაც მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებს. შეუძლია ნებისმიერ წუთს გაჩნდეს საძინებელში. იგი შვილისგანაც და რძლისგანაც მოითხოვს არ ჩაეკეტონ აბაზანის კარი ბანაობისას. დემონსტრაციულად ალებს კარს და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ათვალთვალებს ვაჟსაც კი.

დედამთილი ბოღმისაგან იგულებოდა, როცა ახალგაზრდები ერთმანეთის მიმართ აღერსა და სიტბოს ამჟღავნებდნენ. იყო შემთხვევები, როცა იგი მათ ჭამასაც კი უკრძალავდა და ქმარს ღამით საძინებელში ჩუმად მოჰქონდა საჭმელი. გარკვეული ხნით წყვილი ცოლის ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად და მშვიდად ამოისუნთქეს. მაგრამ დედამთილმა მანც შეძლო შვილის გადაბირება და დააშორა ახალგაზრდები. ოფიციალურად ჯერ არ გაყრილან, ცოლს ისევ უყვარს ქმარი, რომელიც უკვე მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ანატი, 35 წლის. გათხოვებამდე დედაქალაქში ცხოვრობდა, მიიღო უმაღლესი განათლება. 16 წლისამ ორივე მშობელი დაკარგა. მათი სიკვდილის შემდეგ ძმებმა სახლი გაყიდეს და მას შესთავაზეს მორიგეობით ეცხოვრა მათთან: „გოგოა – გათხოვდება და ქმართან წავა“. და აი, ნათესავებმა საქმრო გამოუძებნეს – სოფელი ვაჟი. მის მოკრძალებულ უარზე ოჯახმა განაჩენი გამოიტანა: „კარგი ბიჭია, ბედნიერება ხელიდან არ გაუშვა“. ქალიშვილს, რომელიც სოფლის ცხოვრებას არ იცნობდა,

მძიმე ყოფის მთელი სიმძიმე დააწვა მხრებზე, მას ყველაზე შავი სამუშაო ევალებოდა: წყლით სავსე მძიმე ვედრებიდან და ბაღის მორწყვიდან საქონლის მოვლამდე. ამ მობუზული და თითქოს დაბერებული ქალის შავი ფრჩხილები და დამსკდარი ხელები ბევრზე მეტყველებს. რძალს განსაკუთრებით მკაცრად დედამთილი ეყრობა, ქმარი კი არაფერში ერევა – იგი წინააღმდეგობას ვერ უწევს მშობლებს. ქალი მას არაფერს უყვება, არ ჩივის. ორსულობის გვიან ვადებში უკვე ოთხჯერ მოეშალა მუცელი – და ეს კიდევ ერთი საბაბი გახდა სასაყვედუროდ ბიჭის მშობლებისათვის.

რიფსიმე, 68 წლის, ქმარი 76-საა. ორი შვილი ჰყავთ, რომლებმაც ოჯახები შექმნეს და ცალკე ცხოვრობენ. რიფსიმე აღიარებს, რომ მის ოჯახურ ცხოვრებას ბედნიერი არ ეთქმოდა, მაგრამ შვილების გამო ყველაფერს იტანდა. ქმარი განათლებულია, წესიერი ადამიანის რეპუტაცია აქვს. თუმცა სახლში, ცოლთან, ყოველთვის უხეშობდა, უსაფუძვლო დავა, გინება და მუქარა მისთვის ჩვეულებრივი იყო. მაგრამ დღეს ქალს სულ სხვა რამ აკარგვინებს წონასწორობას... ქმარი 55 წლის ქალზეა შეყვარებული. თუმცა არ ხვდება მას, საათობით საუბრობს ტელეფონზე და დილიდან საღამომდე ცოლს შესტირის თავისი უპასუხო სიყვარულის გამო. მოითხოვს მისგან დამშვიდებას, იმედის მიცემას. მთელი დღე, თავხეხვებში მხოლოდ იმეორებს: „მხოლოდ ახლა მივხვდი, რა არის სიყვარული“. და თუ რიფსიმე შეეწინააღმდეგება, ივინება და სცემს მას. რიფსიმეს ფეხი შეხვეული აქვს: ქმარმა ხელჯოხი დაარტყა, როცა ერთხელ გაგულისებულმა უთხრა: „შენ უკვე პატარა ბიჭი არა ხარ – წადი სოფელში, ჩვენს ნაკვეთში წაიშუშავე და ფიქრებიც გაგეფანტება“. ცოლს გაყრა უნდა, ვაჟებიც თანახმანი არიან. მაგრამ მითქმამოთქმის ემინია: რას იტყვის ხალხი? ბედის ასეთი შემობრუნებისათვის იგი მზად არ არის.

რანო ბობოჯანოვა,
ტაჯიკეთი

პოლარული ზამთარი თბილ ქვეყანაში

ორმოცდახუთწუთიანი ბედნიერება ყოველდღე

დროა მედლები დარიგდეს ექსტრემალურ პირობებში გაძლებისათვის

შახლო ნანატრი შვილის გაჩენას ელოდა და ყველაფრისათვის მზად იყო. მაგრამ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მშობიარობა სანთლების შუქზე მოუწევდა და ასეთ სიცივეში. მართალია, ექიმები აფრთხილებდნენ, რომ შუქი სამშობიაროში შეიძლება გათიშულიყო. იქ წამსვლელმა მარტო პირადი ნივთები არ უნდა წაიღოს. აუცილებელია კიდევ გენერატორი შუქისათვის და საწვავი. ვისაც არ გამოუცდია – არც დაიჯერებს. სახლში დაბრუნებისას შახლომ აღმოაჩინა, რომ ახალშობილი გაცივებული იყო.

პირობები არც სახლშია უკეთესი. დღე-ღამეში ელექტროენერგიას მხოლოდ 45 წუთით იძლევიან. ასეთია ნორმა, ლიმიტი. საინტერესოა, როგორ იყო ალყაშემორტყმულ ლენინგრადში? გაზი, კარგა ხანია, არ არის, ცენტრალური გათბობა კი ხალხს აღარც ახსოვს. შახლოს კიდევ გაუმართლა – ქმარმა სადღაც ძველი მაყალი იშოვა, გადააკეთა, ზემოდან დიდი ნაციონალური საბანი დააფარა. შეიძლება ფეხები გაითბოს ადამიანმა

და ბავშვის ტანსაცმელიც შრება ტაბურეტის ირგვლივ, რომელიც მაყალზეა შემოდგმული. რას იზამ, ცხოვრება რას არ მოგაფიქრებინებს.

სიძნელები ელექტროენერგიის მიწოდებაში მთელი ზამთარი გრძელდება, ნოემბრიდან მოყოლებული. ეს ქალაქ ჩკალოვსკში ყველაზე მწვავე პრობლემაა. ყველას უჭირს, მაგრამ ყველაზე მეტად – ქალებსა და ბავშვებს. მამაკაცი ისაუზმებს და სამუშაოდ მიდის. ქალი კი ოთხ ცივ კვლელშუა მარტო თავის საზრუნავთან ერთად – რა მოამზადოს და როგორ გარეცხოს.

სოფია ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობს. იგი ამბობს: „უკვე დამავიწყდა ნორმალური საჭმლის გემო. სწრაფად ვხარშავთ სოსისს ან კვერცხს – ესაა ჩვენი საუზმეც, სადილიც და ვანშამიც. შვილი რუსეთში იყო სამუშაოდ, დაბრუნდა, მაგრამ ერთი კვირაც ვერ გაძლო – ისევ წავიდა. ჩვენც იქ გვეძახის“. სოფიამ იცის, რომ იქ მათ არავინ მიეღოს,

რომ იქ ისინი მეორეხარისხოვანი მოქალაქეები იქნებიან, „აზიური გარეგნობის პირები“, მაგრამ მაინც, ეს გადარჩენის შანსია.

ამ ზამთარს ბევრი გარდაიცვალა, მაგრამ არავის დაუთვლია რიცხვი. ყოველი მხრიდან გესმის: 43 წლის მოსამართლე ნახშირმა მოწამლა; გაზით მოწამელისაგან 20 წლის ახალდაქორწინებული დაიღუპა, რომელსაც ერთი კვირის წინ ჰქონდა ქორწილი, პატარძალი კი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში იმყოფება... გაზის გამონახობლქვით მეურნეობის ბრიგადირი მოიწამლა, 63 წლის მამაკაცი. ეს შემთხვევები საყოფაცხოვრებო ხასიათის უბედურ შემთხვევებად ფიქსირდება, როგორც თავად მოსახლეობის გაუფრთხილებლობის შედეგი. ვის მოუვა აზრად ვინმეს დადანაშაულება? საბაზრო პირობებში ვცხოვრობთ – თავის თავს ყველამ თვითონ უნდა მიხედოს. ვისაც ფული და თანამდებობა აქვს, იმას შუქი და ბუნებრივი აირიც აქვს. ისინი ან უწყებებს უხდიან, ან ჩინოვნიკების ჯიბეებს. მაღალი რანგის ჩინოვნიკმა თავისთვის გაზისა და ელექტროენერჯის ცალკე ხაზიც შეუძლია გაიყვანოს. რაც გინდა ის დაარქვი – ცხოვრება ამით არ გაუმჯობესდება.

სკოლებში პირველკლასელებისათვის მეცადინეობები შემოკლებულია, მხოლოდ 11 საათამდე სწავლობენ, იმიტომ, რომ ცივა, ხელები ეყინებათ, ერთადერთი ღუმელი კი კლასში მასწავლებლის მაგიდასთან დგას. ბავშვები ვერც სახლში მეცადინეობენ, რადგან ბნელა. მულტფილმების ნახვა აუხდენელ ოცნებად ექცათ. რაღა უნდა ვთქვათ ინტერნეტზე!

თქვენ ამ პირობებში ცხოვრობთ და უკვე ვეღარც კი იხსენებთ, ბოლოს როდის უყურეთ ტელევიზორს ან როდის ჩართეთ მაცივარი, რადგან ბენდიერებისათვის გამოყოფილ იმ 45 წუთში უნდა მოასწოროთ საჭმლის მომზადება, ჩაისა და მღუღარე წყლის მომარაგება, ჭამა და დალაგება და თუ გაგიმართლებთ – დაბანაც. თუმცა, ეს – თუ ძალიან გაგიმართლებთ.



ყოველდღიურ ბენდიერებაში შესვენებებიც ხდება და მამინ შემასა და ღუმელს უნდა მიხედო

ავტორის ფოტო



„კონტინგენტი“ ასე იოლად ვერ ჯდება საერთო ხედში და „ხმას ფეხებით აძლევს“ ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა, საქართველო

ოქსანა რაჩინეცი,
უკრაინა

ჩვეულებრივი სექსიზმი

რიგითო!

არ გაბედო მშობიარობა!

უკრაინელ ქალ-ჯარისკაცებს მშობიარობას აუკრძალავენ

ისინი კონტრაქტს მოაწერენ ხელს, რომელიც 5 წლის მანძილზე გათხოვებასა და შვილების გაჩენას აუკრძალავს

ეს სასიხარულო ცნობა ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრმა ანატოლი გრიცენკომ ამცნო. მისი სიტყვებით, უნდა გაწონასწორდეს არმიისა და ქალი-ჯარისკაცების ბალანსი: „ქვედანაყოფს ყოველი ხიშტი უნდა ჰქონდეს გათვლილი. თუ მათგან 15% დეკრეტშია, ხოლო მათი ნახევარი შემდეგ კიდევ გააგრძელებს ბავშვების გაჩენას და დეკრეტულ შვებულებაში დარჩება, ასეთი ქვედანაყოფი ბრძოლისუნარიო ხდება“.

საინტერესოა. არმიას ქალების მიზიდვა სურს – ეს ფაქტია. მაგრამ იგი არ ცდილობს სრულყოფას და ახალ კონტინგენტთან შეწყობას. მას სურს თავისი პრობლემები ქალების ხარჯზე მოაგვაროს.

თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, უკრაინის არმიაში დღეისათვის 20 ათასამდე ქალი მსახურობს, რაც სამხედროთა საერთო რაოდენობის 10%-ს შეადგენს. 2006 წელს ჩვენთან ძალაში შევიდა კანონი „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“. იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გენდერულ-სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტაროს უკრაინის 10 საბაზო კანონს მათში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპის დაცვის კუთხით. სწორედ რომ დროა, დღეს ხომ უკრაინაში ყველა სახელმწიფო მოხელის 70% ქალები შეადგენენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არმია იმავე იურიდიული ნორმებით იცხოვრებს, რითაც მთელი ქვეყანა. მინისტრ გრიცენკოს კი დაეხმარებიან გიგოს, რომ ქალებისათვის საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის აკრძალვა – ეს მათი უფლებების დარღვევაა და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია.

როზა კუხალაშვილი,
საქართველო

IDP

ხელისუფლებას ამ ადამიანების არსებობაც კი არ ახსოვს

წლების მანძილზე გაუსაძლისი მდგომარეობის გამო დევნილები აქტიურად მონაწილეობდნენ კარდების რევოლუციაში, უკეთესობისა და ცვლილებების რწმენით. დასანანია, რომ მათი მოლოდინი ამოიწმინდა.

საზოგადოების ეს ნაწილი თითქმის 15 წელია იძულებით არის გადაადგილებული საკუთარ სამშობლოში და მოკლებულია ყველაფერს.

ამ ზამთარში საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა დევნილებით ჩასახლებული კომპაქტური ცენტრი, რომელსაც რეგულარულად მიეწოდებოდა ელექტროენერჯია. დღეს დევნილთა უმრავლესობა შემწეობის იმედგადაა დარჩენილი, რაც მხოლოდ საარსებო მინიმუმის 10 პროცენტს შეადგენს და 2000 წლის დონეზეა დარჩენილი. სამწუხაროდ, ბოლო წლებში არ მოიძებნა ადამიანი არც მთავრობაში, არც პარლამენტში, რომელიც შემწეობის თანხების გაზრდის ინიციატივით გამოვიდოდა. მთავრობას სულაც არ ადარდებს, თუ როგორ უნდა იარსებოს 11-14 ლარით ადამიანმა, რითი უნდა შეიძინოს საკვები, შენი ან ნავთი? ამავე დროს გამოდის ცალკეული დეპუტატი და წუწუნებს, რომ არ ყოფნით ხელფასი (1500 ლარი) და მოითხოვს მის გაზრდას 2500 ლარამდე. ძნელია ასეთ დეპუტატებს ხალხის რჩეული უწოდო, მთავრობას კი ეროვნული.

ჩვენს მინისტრებსა და დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ მათი ხელფასები მაღალგანვითარებული ევროპული ქვეყნების დონეზე უნდა იყოს, სოციალურად შეჭირვებულთათვის კი სხვა მიდგომა აქვთ. მიზეზად ქვეყნის მწირ ბიუჯეტს ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ბიუჯეტი რამდენჯერმე გაიზარდა (რითაც ხელისუფლება დამსახურებულად ამაყობს), დევნილთა შემწეობის გასაზრდელად თანხები არ მოიძებნა და ის, ინფლაციისა და ფასების ზრდის მიუხედავად, 2000 წლის დონეზე დარჩა (6 - 8 აშშ დოლარი).

დევნილთა რთულ მდგომარეობას აქტიურად ეხმარება პრესა. აი საქართველოს რამდენიმე გაზეთში ბოლო ორ თვეში გამოქვეყნებული მასალების სათაურები, რაც კარგად ასახავს რეალურ სურათს:

"ფარღალალა "მასპინძლიდანაც" ქუჩაში ჰყრიან: აფხაზეთში ქმრისა და მშობლების დამკარგავი, რუსეთიდან დეპორტირებული, სიმსივნით დაავადებული ქალბატონი ხევიამილია უხემად გააგდო",
"დევნილ 100 ოჯახს ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდა",

"ლტოლვილები აქციებით იმუქრებიან",
"დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს",
"ხევიამილია დევნილები "გადააგდო",
"რატომ არიან დევნილები ყველაზე მეტად მივიწყებულინი?"

"ხელახალი დევნილობის მოლოდინში",
"დევნილების აქცია ქუთაისში".

დევნილთა აქციებს, მათ აქტიურობას, ჟურნალისტების ძალისხმევას სრულ იგნორირებას უკეთებს მინისტრი გ. ხევიამილი და მთლიანად ხელისუფლება.

ლუარა მორჩილაძე: "ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა მოგვცენ თავშესაფარი, რომელსაც თოთხმეტი წლის განმავლობაში ველოდებით, დავდივართ სამინისტროში, მაგრამ უშედეგოდ. თუკი ამ მთავრობას საქართველოში არ ვჭირდებით, მაშინ გავვიშვან ემიგრანტებად ნებისმიერ ქვეყანაში, ჩვენთვის სულ ერთია, ვინაიდან საქართველოში ჩვენი ადგილი და კუთხე დღემდე არ გამოჩნდა. თავშესაფარი რომ მქონდეს, საერთოდ დავივიწყებდი ამ სამინისტროს და არაფერზე არ შევაწუხებდი."

ეთერ ფაცაცია: „ჩვენ მთავრობას უნდობლობას ვუცხადებთ. ერთხელაც არ მოსვლია ჩვენს ხელისუფლებას აზრად, ჩვენს გაჭირვებაზე, პრობლემებზე ესაუბრა. რად გვინდა ისეთი მინისტრი, რომელიც ჩვენს ინტერესებს არ დაიცავს! რატომ დანიშნეს ხევიამილი? იგი ჩვენს გვერდით არასოდეს დამდგარა, როდესაც რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდით.“

დავარ კვარაცხელია: "ჩვენ დღემდე ქირით ვცხოვრობთ. რამდენიმე წლის წინ მივმართეთ დევნილთა და განსახლების სამინისტროს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თხოვნით, მაგრამ დღემდე არავითარ ყურადღებას არ გვაქცევენ, მხოლოდ გვპასუხობენ, რომ თუ გამოჩნდა რაიმე ფართი, მაშინ დაგვაკმაყოფილებენ. როდესაც გია ხევიამილის შევხვდით, გვისაყვედურა, თითქოს ყველას თბილისში გვინდოდა ცხოვრება. მე თანახმა ვიყავი ნებისმიერ ადგილას მოეცათ საცხოვრებელი და ხევიამილი დაპირდა, რომ წალკაში ჩავგასახლებდა. დავწერე განცხადება, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ სამინისტროდან უარი მივიღე. რას ნიშნავს ეს? - იმას, რომ ჩვენ, დევნილები საქართველოში არ ვჭირდებით. რატომ, ქართველები არა ვართ?"

წყნეთის ტერიტორიაზე 13 წელია 5 ათასი დევნილი ცხოვრობს. ისინი აპროტესტებენ პრემიერ მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ხელმოწერილ ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებას წყნეთის ზონების პრივატიზების შესახებ, რაც მათი საცხოვრებელი სახლების პრივატიზებასაც გულისხმობს. დევნილები ამბობენ, რომ საცხოვრებელი სახლების დატოვებას არ აპირებენ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენს შესთავაზებენ კომპენსაციას.

ყოველივე ეს ხდება დღეს, როდესაც შექმნილია დევნილთა პირობების გაუმჯობესების სახელმწიფო სტრატეგია და მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება, რითაც თავს იწონებს მინისტრი ხევიამილი. ვფიქრობ, ეს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დონორების მოსაზრდად იქმნება (როგორც ადრე, დახმარება კი დევნილებამდე არ მიდიოდა) და არა დევნილთა პირობების გასაუმჯობესებლად. ამის დასტურია დევნილთა დღევანდელი მდგომარეობა. მეტად სტრესულ მდგომარეობაში აყენებს ხიზნებს იმ შენობა-ნაგებობების პრივატიზება, სადაც წლების მანძილზე ცხოვრობენ. ხელახალი დევნილობის მოლოდინი, გაუკვევლობა, დაუცველობა, სრული უყურადღებობა მთავრობის მხრიდან – აი, რის წინაშე დგას დღეს ეს ხალხი.

ასოლ ქარიმოვა,
ყაზახეთი

დიაგნოზი: დამჯერე ბავშვები

ისე მოიქცა, როგორც მშობლებმა დაარიგეს მათ ნებას ვერ გადავიდა, თუმცა თვალწინ სევდიანი მაგალითი ჰქონდა

გულნაზი საოლქო ცენტრიდან მოშორებულ აულში გაიზარდა. იქვე დაამთავრა სკოლა, სწავლის გასაგრძელებლად კი საოლქო ცენტრში ჩამოვიდა, სადაც მისი უფროსი და ცხოვრობდა. ეკონომიურზე სწავლობდა. ეს მომენტებიან პროფესიას, ფინანსებთანაა ახლოს – ასე გადაწყვიტეს გულნაზის მშობლებმა, თვითონ კი წინააღმდეგობა არ გაუწევია. მიჩვეული იყო, რომ ყველაფერს ისინი წყვეტდნენ. მშობლების ნება – კანონია, განხილვას არ ექვემდებარება.

გოგონას ქალაქში ცხოვრება მოეწონა. ბევრი ნაცნობი შეიძინა, უამრავი ინფორმაცია მიიღო. მეგობრებთან ერთად შემთხვევით სემინარზე მოხვდა, სადაც კომპიუტერის მოხმარებას ასწავლიდნენ, გაიცნო მოხალისეები არასამთავრობოდან და ძალზე დაინტერესდა. ცხოვრებაში პირველად თავისით გადაწყვიტა, რომ პრაქტიკა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში გაეკეთა, გაცნობოდა საინტერესო ადამიანებს, ეკეთებინა სასარგებლო საქმე. ახლა მის ცხოვრებას ახალი აზრი მიეცა – სწამდა, რომ ხალხს ეხმარებოდა.

გულნაზი სიამოვნებით სწავლობდა სემინარებზე, ჩააბარა იურიდიულ ფაკულტეტზე – არა იმიტომ, რომ ვინმემ დააძალა, არამედ იმისთვის, რომ სამუშაოდ სჭირდებოდა. სამი წლის მანძილზე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში იგი ძალიან გამოიცვალა. სოფლელი გოგონა თავის თავში დარწმუნებულ ადამიანად იქცა, რომელმაც იცის, რას აკეთებს და რა უნდა. უკვე სხვებსაც ასწავლიდა. გარეგნულადაც გამოიცვალა – ლამაზად ჩაცმა ისწავლა, მოღურ ვარცხნილობას და მაკიაჟს იკეთებდა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ. ეს „მაგრამ“ მოსვენებას არ აძლევდა. უნდა გათხოვილიყო, რადგან სოფელში ჩასული მშობლების უკმაყოფილო მზერას აწყობდა – უკვე 20 წლისაა და ჯერაც არ გათხოვილა! მათი წყენიება არ უნდოდა.

შინაგანად მასში ყველაფერი ამბობებული იყო: ჯერ არ უნდოდა ოჯახის შექმნა, ჯერ არ შეხვედროდა იმ ადამიანს, ვინც თავისი შვილების მამად წარმოედგინა. გარდა ამისა, თვალწინ უფროსი დის სევდიანი გამოცდილება ჰქონდა. ოდესღაც ისიც ქალაქში წავიდა, ისწავლა. შემდეგი საფეხური, მშობლების სცენარის მიხედვით, გათხოვება იყო. დაიწყო კანდიდატების შერჩევა, მშობლები აჩქარებდნენ... ძიების შედეგი ორსულობა იყო. გოგონას ბავშვის გაჩენა უნდოდა, მაგრამ მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ ბავშვის უმამოდ გაჩენისა და აიძულეს აბორტი გაეკეთებინა. ახლა დას ბავშვის გაჩენა აღარ შეუძლია, კვლავ გაუთხოვარია და მშობლებთან კავშირიც გაწყვიტა – არ აპატია მათ.

გულნაზი არ იყო მიჩვეული მშობლებთან შეწინააღმდეგებას. დაიწყო საქმროს ძებნა. „ვაჟებთან შეხვედრისას მუდამ მასწავლა დედის დარიგება. მაგრამ თუ ბიჭი მე მომწონდა, დედაჩემის „მოთხოვნებს“ ვერ აკმაყოფილებდა და პირიქით. ბოლოს შევხვდი ისეთს, რომელიც ასე თუ ისე, ყველა მოთხოვნას პასუხობდა, ქორწილისთვის მზადებაც დაეიწყეთ, მაგრამ ვაჟი უეცრად საღვაც გაქრა, ახლაც არ ვიცი, რატომ. მეწყინა და გული დამწყდა. უკვე არაფერი აღარ მინდოდა, მაგრამ მშობლები მაძალბებდნენ ძებნას. მეგობრებმა მირჩიეს, დავახლოვებოდი ვაჟს და მერე დამეშანტაჟებინა, რომ ორსულად ვიყავი. ასეც მოვიქცევი. მშობლები ბედნიერები იყვნენ, როცა სასიძოს ნათესავები ჩემს დასანიშნად მოვიდნენ. მე კი მესმოდა, რომ აქ ყველაფერი მთავრდებოდა. აღარც საინტერესო სამუშაო მექნებოდა, აღარც საინტერესო ხალხთან ურთიერთობა! და კიდევ მეშინია – სხვა რომ შემიყვარდეს? ჯერ შვილი უნდა გავაჩინო, როგორც ეს წესიერ ოჯახს შეეფერება, მერე კი რაღაც უნდა მოვიფიქრო, რათა ქმარი დავარწმუნო, რომ ისევ დამართოს მუშაობის ნება“...

გულნაზმა თხრობა დაასრულა და ამოიოხრა: „თქვენთან ყოფნა მინდა, მაგრამ საცაა ქმარი დაბრუნდება და სახლში უნდა გავიქცე“. და არ ესმის მას, რომ ის, რაც მან ისწავლა და რასაც სხვებს ასწავლიდა, ცხოვრებაში უნდა გამოიყენოს. გათხოვილი ქალის სტატუსის მიღებისთანავე გულნაზი ავტომატურად დაუბრუნდა უფლებო სამყაროს, თითქოს უფლებობანას და დემოკრატიობანას თამაში დასრულდა. თითქოს ეს მხოლოდ თამაშია ახალგაზრდა გოგონებისათვის. ნამდვილი ცხოვრება კი საღვაც იქ არის – მაღალ ლობეს იქით – მკაცრი და უიმედო.



გალიაში დარჩე თუ თავისუფლად შეინავარლო – შენი გადასაწყვეტია

ფოტო უმდა ანბელოვასი, უზბეკეთი

თემის გავრძელება

ვინ

მეთაურობს „გენდერს“?

წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო თინათინ მუსხანაძის რეპლიკა საქართველოდან „დაზვერვაზე მანანასთან ერთად? არასოდეს“

რელაქციამ რამდენიმე გამომხმაურება მიიღო:

ცხადია,

საპარლამენტო საბჭოს

კარგი ტრენინგი

სჭირდება

კომენტარები დეპუტატისაგან

ნაცვლად იმისა, რომ მეფიქრა და მევარაუდა, რატომ თქვა მანანა ნაჭყებამ ასე და არა სხვაგვარად, კომენტარები თავად მას ვთხოვე

- ქალბატონო მანანა, შეგვახსენეთ, რა ფუნქცია აკისრია გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის წევრიც ბრძანდებით?
- საბჭო ორი წელია მუშობს. მისი მიზანი მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპების შემუშავებაა. ვფიქრობ, მთავრობამ აუცილებლად უნდა იცოდეს ამ კუთხით გვაქვს თუ არა რაიმე საკანონმდებლო ხარვეზი და საერთოდ, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვიცხოვროთ.
- „გენდერული თანასწორობის“ თქვენეული კერსია როგორია?
- რა თქმა უნდა, ვალიარებ სქესთა ფიზიოლოგიურ განსხვავებას, თუმცა მიმაჩნია, რომ ქალსა და მამაკაცს საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს. ამავდროულად, მათი ფუნქციები არ უნდა გვერდოდეს. ქალი ოჯახში უნდა იყოს. პარალელურად, იმის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს, რომ ბიზნესის ან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებშიც იაქტიუროს. დღეს ქალს არჩევანის გაკეთება უწევს: ოჯახი, ან სამსახური. ასე რომ არ მოხდეს, ამაზე მთავრობამ უნდა იზრუნოს და ქალს ისეთი გარემო შეუქმნას, რომ მან ორივე ასპარეზი აითვისოს.
- რა უშლის ხელს საქართველოში ქალთა განვითარებას?
- თუნდაც შრომის კანონი, რომელიც ქალის უფლებებს



საერთოდ არ ითვალისწინებს. გენდერული თანასწორობის საბჭო ამჟამად მუშაობს მასზე, უფრო სწორად, რაღაც წინადადებებს ჯერ მთავრობიდან ელოდება... დიდი სურვილი გვაქვს გენდერული თანასწორობის საკითხი სკოლებში დაინერგოს, რომ ადამიანმა ბავშვობიდანვე გააცნობიეროს - სქესის ნიშნით შენი უფლებები არ უნდა იზღუდებოდეს.

- კი მაგრამ, იმ გადაცემაში პირდაპირი ეთერით განაცხადეთ, რომ მამაკაცთა უპირატესობას ალიარებთ...

- ვალიარებ, გარკვეულ საკითხებში. თუმცა, ქალსაც მეტი პატივისცემა სჭირდება. თანამედროვე სამყაროში ოჯახის ფაქტორი ნელ-ნელა სუსტდება. დედა მთელი დღე სახლიდანაა გასული, მუშაობს, მამაც ბავშვის აღზრდაში ვერაფრით ეხმარება, ის მხოლოდ ფულის შემომტანია...

- იქნებ აგვიხსნათ, რას ნიშნავს „თანაბარი უფლებები“ თუნდაც ოჯახის ფარგლებში.

- ფემინისტი არ ვარ, ამიტომ გეუბნებით, რომ ქართულ ტრადიციულ ოჯახში ფუნქციები არც ისე ცუდადაა გადანაწილებული. არ მესმის, ქალმა რატომ უნდა აკეთოს კაცის საქმე და - პირიქით?.. ის ფუნქცია, რაც ქალს ღმერთმა არგუნა, კაცს რატომ უნდა გადავაბაროთ? გიკონკრეტებთ: ფუნქციების აღრევის წინააღმდეგი ვარ. ადამიანი მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როცა ოჯახშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ყველაფერი რიგზე აქვს. არანორმალურია - თავი მხოლოდ ბიზნესს ან ოჯახს მიუძღვნა. მაგალითად, მე არც იმის მომხრე ვარ, რომ ისეთი პარლამენტი გვქონდეს, როგორიც შევეციაშია. იქ ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ, მამაკაცს კი თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს. არა მგონია, ეს ძალიან კარგი იყოს.

- ჩვენს პარლამენტში რამდენი დეპუტატი ქალია?..

- 22... სხვათა შორის, მე არც კვოტების მომხრე ვარ, თუნდაც დროებითის. ეგ იდეაც არ მომწონს.

- ხომ არ გავქვთ სურვილი პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდეთ?

- თუ პარლამენტში ვეღარ მოვხვდი, დაუბრუნდები.

კომენტარები აიღო ირმა კახურაშვილმა

თემის გაგრძელება ვინ მეთაურობს „გენდერს“?

ძველი წრთობა

დარწმუნებული ვარ, ქალთა ყველა ორგანიზაციისათვის ნაცნობია სიტუაცია, როცა სარმას მაღალჩინოსანი კოლეგები გვიდებენ

თინათინმა მშვენივრად დაწერა ამის შესახებ წინა ნომერში. ასეთი ქალბატონების ორსახოვნებაზე: ერთი საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის, მეორე კი შიდა მოხამარებისათვის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქალბატონთა უმრავლესობა, რომლებიც დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებაში იმყოფებიან, იქ დემოკრატიული გზით, ქალთა მოძრაობის მეშვეობით არ მოხვედრილან. ისინი თავიდანვე მამაკაცურ თამაშს თამაშობდნენ. ხოლო, როცა მოდური გენდერული თანასწორობის თამაში გახდა, მათზე მოთხოვნილება გაიზარდა. შესაბამისი სქესი, წრთობა, თამაშის წესების ცოდნა... ასეთი ქალები ხელისუფლებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. მათ არავითარი შინაგანი რწმენა არ გააჩნიათ იმის აუცილებლობის შესახებ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ქალები, რომლებიც მამაკაცური ხელისუფლების დერეფნებში გაიზარდნენ, ხშირად უფრო შეუბრალებელი არიან, ვიდრე თავად მამაკაცები. და ეს ფსიქოლოგიურად სავსებით გასაგებია: ხელისუფლების სტრუქტურებში შესაღწევად ისინი მოწინააღმდეგეზე მთელი თავით მაღალნი, შეუბრალებელინი, ძლიერნი უნდა ყოფილიყვნენ.

ტყუილა კი არ გახდა ქალთა გაჯიბრება უამრავი არაკისა და ანეკდოტის საბაბი. მამაკაცთა ბატონობამ ბევრ ქალს მონის კომპლექსი გამოუქმნა. სურვილი უპირველესად გარეგნული მონაცემებით წარმოჩენილიყო, კულისებში იმდენ ინტრიგებში დაემაღლა ჭკუა, ინიციატივა. შემთხვევით კი არ ამყოფს ამდენი ქალი „იკისის“ როლით, „რომელიც საითაც მიბრუნდება, თავიც იქით გაიხედავს“. ასეთ ქალებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ, არაფერში სჭირდებათ არც გენდერული კვლევება, არც უბრალოდ ქალთა განათლება. ამით ხომ კონკურენტთა უზარმაზარი არმია გაიზრდება!

*ჟანარ მეიერმანოვა,
ჩიმკენტი,
ყაზახეთი*

თემის გაგრძელება ვინ მეთაურობს „გენდერს“?

ხელისუფლების მკლავებში მოგუდება?

რა საწყენია, რომ ადამიანები, რომლებსაც პრობლემაზე გული შესტკივთ, ჩვენს ქვეყნებში არასოდეს მიიღებენ ძალაუფლებას

„მოდურ“ თემას კი ქეჩოზე მუდამ მოექცევიან საეჭვო ადამიანები, რომლებიც მარტო სარგებელზე ფიქრობენ. ქალთა მოძრაობის ლიდერები დუმან, რადგან არ

უნდათ განხეთქილების შეტანა, ქალთა დისკრედიტაცია... ისინი კი, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულნი, სულ უფრო შედიან ემში. არასამთავრობო სექტორის ლიდერები კიდევ იმიტომ სდუმან, რომ სპონსორები ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტად მოითხოვენ მათგან სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას. თუ ასეთი კავშირი არ არსებობს, პროექტიც ვერ გადის... შედეგად ბევრი არასამთავრობო იძულებულია თავის პროექტებში ჩინოვნიკები ჩართოს და გადაუხადოს მათ უცხოელი გადამხდელების ხარჯზე, რაც ხელს არ უშლის თავად ჩინოვნიკებს არასამთავრობო საზოგადოებათა ლიდერებს სხვისი ფულით არსებობა დააყვედრონ.

საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამშრომლები (მაგალითად ყირგიზეთში, ყაზახეთში) პირდაპირ ამბობენ, რომ ხშირად სამთავრობო სტრუქტურების სასარგებლოდ კონტაქტებს წყვეტენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუ ადრე სემინარები, კონფერენციები, უფლებრივი აქტების გავრცელება სამოქალაქო სექტორის მეშვეობით ხდებოდა, ახლა ყველაფერი ეს ხელისუფლების ორგანოების გავლით ხორციელდება. საოცარია, მაგრამ ფაქტია: არასამთავრობო სექტორი ახლა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობითაც იჩაგრება...

მეორე ახალი მოვლენა ბევრი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისათვის არის არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა ჩინოვნიკების ან მათი ნათესავების მიერ. კარგა ხანს ითმენდა ოფიციალური ხელისუფლება არასამთავრობოების არსებობას. იგი თითქოს თამაშობდა სამოქალაქო საზოგადოებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმ დიდი თამაშის ნაწილად თვლიდა, რომელსაც დემოკრატია ჰქვია. მაგრამ შემდეგ ბევრი უცებ მიხვდა, რომ არასამთავრობოებზე შეიძლებოდა ფულის გაკეთება. ყაზახეთში, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო შეკვეთების შესახებ კანონის მიღების შემდეგ მათი რიცხვი სოკოსავით გაიზარდა. თითქმის ყველა მათგანს სათავეში რომელიმე სახელმწიფო მოხელის ცოლი ან ქალიშვილი უდგას. ვაჟებს მასში ნაკლებად რთავენ (თვალში საცემი რომ არ იყოს). შედეგად, შარშან ჟამბილის ოლქში, მაგალითად, არც ერთ ძველ ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციას სახელმწიფო შეკვეთის მისაღებად კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია. კონკურსი ისე მოკლე დროში გამოცხადდა და ჩატარდა, ისე ცოტა დრო იყო მოცემული პროექტების განხორციელებისათვის (2-3-თვე), რომ არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც თავის რეპუტაციას უფრთხილდებოდა, მასში მონაწილეობა არ მიუღია. ამას კონკურსისთვის ხელი არ შეუშლია. ყველა შეკვეთა ადრე უცნობმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს.

სხვათა შორის, ორ სკამზე ხელფასის მიღების (ჩინოვნიკისა და არასამთავრობოს) პიონერად ითვლება ერთი ქალბატონი ჟამბილის ოლქიდან, რომელიც უკვე მრავალი წელია ოჯახისა და ქალების საქმეთა კომისიის მდივანია. თვითონ ადვენს დღის წესრიგს, თვითონ აყალიბებს კომისიას, თვითონ იწვევს მისთვის ხელსაყრელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ რამდენიმე ქალთა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, რომლებიც მარტო დასახელებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ახლა საკუთარ თავს თვითონ უგებს სახელმწიფო შეკვეთას.

ვფიქრობ, ეს საერთოდ სიახლეა: რესპუბლიკებში ქალთა მოძრაობის ჩანაშობა თავად ქალების ხელით. ჭკვიანურია, ვერაფერს იტყვი. კარგი იქნებოდა, სხვა სტატისტიკისათვისაც გადაგვეხედა — არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გამოსული რამდენი პასუხისმგებელი მუშაკია დღეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე? ვფიქრობ, არც ერთი. იმიტომ, რომ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ სექტორში მუშაობენ, ხელს არ აძლევთ სახელმწიფო სტრუქტურებს. ისინი მათი შეხედულებებისა და მოქმედების მტრები არიან. ტარაზში მშვენიერი მაგალითი იყო ამისა, როცა ახალგაზრდული ასოციაციის ლიდერი ჩინოვნიკის ადგილზე მიიწვიეს. მან ნახევარი წელი გაძლო და თვითონ ითხოვა წასვლა. ახლა შიშით ივონებს იმ დროს. ქალაქებთან სამუშაო — უამრავი, ზემდგომების წინაშე პასუხისმგებლობა — თითქმის მონური, გადაწყვეტილების მიღების, სიტუაციაზე ზემოქმედების შესაძლებლობა კი ნულოვანი. ეს თავისებური სიახლეა: მოსპო სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახები მათი ლიდერების მოგუდვით ხელისუფლების ხვევნისას.

რაისა აბენოვა,
კზილ-ორდა,
ყაზახეთი

თემის გაგრძელება ვინ მეთაურობს „გენდერს“? პატარა სასუსნავი დიდი ადამიანებისათვის

საქართველოში ფართოდ არის ფეხმოკიდებული ე.წ. ორმაგი სტანდარტი. ერთი საშინაოდ, მეორე — სხვისთვის

ამ დაავადების მსხვერპლი, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი კოლეგაც გახდა. მიზეზი, ვფიქრობ, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. ზოგიერთი არად ავდებს პრინციპებს, ღირებულებებს და სინდისის საწინააღმდეგოდ ყველაფერზე მიდის, რომ როგორმე დაფინანსება მოიპოვოს და თავისი პირადი კეთილდღეობა გაიუმჯობესოს. საზოგადოება ყველაფერს კარგად ხედავს, მაგრამ ჩაურევლობის პრინციპს ამჯობინებს. ვის აძლევს ეს ხელს? ცალკეული ჩვენი კოლეგის ორმაგი სტანდარტი გენდერული თანასწორობისადმი მათ მიდგომებში გამოიხატება, რისი მოწმეც არაერთხელ ვყოფილვართ. ალბათ ამიტომაც ვტკეპნით წლების მანძილზე ერთ ადგილს.

როზა კუხალაშვილი,
თბილისი

ალმა ბეკტურგანოვა-ანდერსენი,
დანია

კონტრასტები პოლიციელიც ადამიანია

და არა ძალადობისაკენ
მიდრეკილი კრიმინალური
სუპერმენი

არ მახსოვს, ჩვენს ოჯახს ყაზახეთში საკუთარი სურვილით მილიციისათვის მიემართოს. ჩვენთვის მილიცია ყოველთვის იყო დამსჯელი ორგანო, მილიციელი კი ძალადობის განსახიერება, რომლის ამოცანასაც ყველასა და ყველაფრის გაკონტროლება წარმოადგენდა. მაგრამ ერთხელ მაინც მოგვიწია მათთვის მიმართვამ — ჩვენი ბინა გაქურდეს, მაგრამ „გავვიმართლა“: ჩვენთან ერთად ჩვენი მეზობელი — ოლქის პირველი პირის ნათესავიც გაქურდეს. რასაკვირველია, მაშინვე გაიცა ბრძანება ყველაფერი მოეძებნათ და ჩვენდა გასაკვირად — მოძებნეს. თითქოს უნდა გავგზარებოდა, მაგრამ დღემდე არ მშორდება ზიზღის გრძნობა იმის გამო, რომ გვაძალებდნენ საკუთარი ნოხები და ჭურჭელი ამოგვეცნო. არ ვიცი, ეს ვის სჭირდებოდა! და მახსოვს ჩემი



მათ ალყა ჰქონდათ შემორტყმული ახალგაზრდობის სახლისათვის, რომელსაც ანგრევდნენ (იხ. ჟურნალის მარტის გამოცემა, გვ. 6-7). დღეს ვიკინგების ეს შთამომავლები ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო კურსებს გადიან. და ეს სწორია

ფოტო ავტორისა

გაოცება სასამართლოზე: რაღაც ვერ ვიჯერებდი, რომ იმ ყმაწვილებს, რომლებიც განსასჯელთა სკამზე ისხდნენ, ბანდის ჩამოყალიბება და ქალაქში ასე წარმატებულად დარცვა შესძლებოდათ. შეგრძნება იმისა, რომ ნამდვილი დამნაშავეები სადღაც გარეთ იყვნენ, დარბაზში მსხდომებს არ მოგვშორებია.

და სულ ახალი მოგონებები – ჩემმა მეგობარმა ტარაზიდან თავის მოზარდ ვაჟს ყველა ჯიბე ამოუკერა, პოლიციელებს რომ ნარკოტიკის ჩადება არ შესძლებოდათ. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა: ჩვენი ყოჩაღი მილიცია ასე შოულობს სარჩოს, როცა მშობლებს შვილების გამოსასყიდ ფულს ძალავს.

როგორ გავოცდი, როდესაც გავიგე, რომ დანიაში ახალგაზრდული არეულობის შემდეგ, რომელზედაც „კავკაზის“ წინა ნომერში ვსაუბრობდით, ყველა პოლიციელს შესთავაზეს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კურსები გაეგლოთ, როგორც ადამიანებს, რომლებმაც ძალადობა გადაიტანეს. პირველი რეაქცია იყო: მერე რა,

ასეთი სამუშაო აქვთ! მერე შემრცხვა. ეს ხომ ჩემი წარსულიდან გამოყოლილი აზრებია, როცა მჯეროდა, რომ პოლიციელები - განსაკუთრებული ხალხია, რომლებსაც სისასტიკე უყვართ.

აქ კი, დანიაში, პოლიციელის სამუშაო ჩვეულებრივი სამსახურია. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ თუ პოლიციელმა ძალადობა განიცადა, იგი, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, რეაბილიტაციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას საჭიროებს. ამიტომაც არ არსებობს დაპირისპირება პოლიციელებსა და სხვა მოქალაქეებს შორის. პოლიციელის სამუშაო დანიაში ფასდება არა გაცხნილ დანაშაულთა რიცხვით, არამედ რეიტინგით, რომელსაც მოსახლეობა უსვამს სხვა სამსახურებთან – სასწრაფო დახმარებასთან, ფოსტასთან, სოცუზრუნველყოფასთან შედარებით. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი სამუშაოა, არაფერი ექსტრაორდინალური...

სვეტლანა ბეისოვა,
ყაზახეთი

პრესის პრესინგი

ჟურნალი და გაზეთი, როგორც წამების იარაღი

ბევრი ვერ გამიგებს, მაგრამ ახლავე აგისხნით ყველაფერს. ჩვენში ბევრს საუბრობდნენ, დავობდნენ საქალაქო და საოლქო საბიუჯეტო გაზეთებზე ხელმოწერის შესახებ. მათი ტირაჟის გასაზრდელად ქალაქის ან ოლქის ხელმძღვანელობა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებს იწვევს და მათ გამოწერის დავალებას აძლევს. ამდენი ჟურნალ-გაზეთი უნდა გამოიწეროთ და მორჩა!

საბიუჯეტო ორგანიზაციათა (ძირითადად სკოლები და საავადმყოფოები) ხელმძღვანელები ძირითადად ქალები არიან. ქალაქისა და ოლქის ხელმძღვანელები კი – მამაკაცები, რომლებმაც უკეთესად იციან, როგორ და სად გაანაწილონ საბიუჯეტო სახსრები.

ყოველწლიურად ეს ვალდებულება იზრდება. სამი წლის წინ, როცა სკოლაში ვმუშაობდი, ყოველ მასწავლებელს ერთი გაზეთი პერსონალურად, ერთი კი ვინმესთან სანახევროდ უნდა გამოეწერა. ახლა ყოველმა პედაგოგმა სამი გაზეთი უნდა გამოიწეროს! ეს კი საკმაო თანხაა ოჯახის ბიუჯეტისათვის – მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ მასწავლებელთა მოკრძალებულ შემოსავალს. გაზეთიც რომ არ არის საინტერესო! ცოტა თუ ბედავს შედავებს. ერთმანეთში ყველა ბუზღუნებს, ქალაქისა და ოლქის ხელმძღვანელობიდან ღარიბ ღირექტორამდე, მაგრამ

ფულს მაინც იძლევიან „დაწყვეტილი გამოწერისათვის“. სხვაგვარად შეიძლება სამუშაო დაკარგონ.

თითქოს სულაც არ არის ძნელი, ადგე და თქვა: „მე ეს გაზეთი არ მჭირდება და ფულის გადაყრას არ ვაპირებ“. თუ ხელმძღვანელობა თავისას არ მოიშლის, ფორმალური საფუძველი მოვითხოვთ: ფორმალური სამსახურებრივი ბრძანება ან განკარგულება. ხომ ცხადია, რომ ასეთი არ არსებობს. თავის დროზე ასე მოვიქცევი და მე თავი დამანებეს, მაგრამ ცოტამ თუ მომბაძა და როცა სკოლის დატოვება გადავწყვიტე, ხელმძღვანელობამ შვებით ამოისუნთქა.



საბედნიეროდ, ყველა ჟურნალი როდია ინტელექტუალური გილიოტინა. ყურადღება: მეგობრული გამოცემის ირიბი რეკლამა!

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

გვილოცავენ

ჟურნალ „კავკაზიას“
ქართულ ენაზე გამოსვლას
ბევრი ჩვენი კოლეგა გამოეხმაურა

ძვირფასო გოგონებო ასოციაციიდან „გენდერ მედია კავკასია“!

რეგულარულად ვკითხულობ თქვენს ჟურნალს. იგი ჩემთვის ახლობელი და საყვარელია, რადგან თქვენ ჩვენი ახლობლები ხართ და კარგ საქმეს აკეთებთ. როცა რეალობისაგან ვიღლები, თქვენს სიყვარულს, პატივისცემასა და ერთიანობას ვგრძნობ. მივესალმები ჟურნალ „კავკაზიას“ ქართულ ენაზე გამოსვლას. სწორედ რომ დროულია!!!

გილოცავთ წარმატებებს!
გზა მშვიდობისა! თქვენ ჩვენი ძალა და მშვენიერი მისაბაძი მაგალითი ხართ.

გეხვევით,

*თქვენი ძიძია ლუდუშაური,
თბილისი*

მუდამ დიდი ინტერესით ვეცნობით ჟურნალ „კავკაზიას“! მასში ბევრია ახალი, უჩვეულო. ჩვენთვის საინტერესოა სტატიებიც, ჟურნალისტური სტილიც და ღიზინიც. ძალიან გვიზარია, რომ გამოსვლა დაიწყო ქართულმა ვერსიამ, რაც მკითხველთა აუდიტორიას გაზრდის. წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო კოლეგებო. დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

*ქალთა ფონდ „სოხუმის“ ბიულეტენ „ქალის ხმის“ სარედაქციო კოლეგია.
ქუთაისი*

კოლეგებო!

მინდა დიდი სიხარულით გამოეხმაურო საერთაშორისო გენდერულ ჟურნალ „კავკაზიას“ ქართულ ენაზე გამოსვლას. ქვეყანაში, სადაც დემოკრატიის პრინციპებს აღიარებენ, უნდა გამოდიოდეს ისეთი მაღალპროფესიულ დონეზე გამოცემული გენდერული ჟურნალი, როგორც "კავკაზიას".

ალბათ, გამოჩნდება სპონსორი, რომელიც თავის თავზე აიღებს მისი დაბეჭდვის ხარჯებს. დიდი მადლობა „კავკაზიას“.

*პატივისცემით,
როზა კუნალაშვილი,
თბილისი*

**ძვირფასებო,
გილოცავთ, ასე განაგრძეთ!**

*პატივისცემითა და აღფრთოვანებით,
როზა ცინდელიანი,
თბილისი*

ძალიან მიხარია, რომ „კავკაზია“ უკრაინულ ენაზე გამოდის. ვფიქრობ, ქართველ ქალებსაც უნდათ მისი მშობლიურ ენაზე წაკითხვა. სულითა და გულით ვუხდი მადლობას რედაქციას და ვუსურვებ წარმატებებს.

*ოლია სიმონენკო,
უკრაინა*

გილოცავთ ქართული ვერსიის გამოცემას!
ახალშობილს ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ!
*თინათინ მოსიაშვილი,
თბილისი*

ჩემო კარგებო,
გილოცავთ „კავკაზიის“ ქართული ვერსიის გამოსვლას. მზად ვარ თანამშრომლობისთვის.

*გოცნით,
საუკეთესო სურვილებით,
ნინო სუხიაშვილი,
ხაშური*



„კავკაზიის“ ნამდვილად ბედნიერი რედაქტორები მზად არიან უკეთესი მუშაობისათვის!

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა, საქართველო

დიდი მადლობა ყველა მკითხველსა და მწერალს! თქვენი ყურადღებისა და თანამშრომლობის იმედი გვაქვს.

სიყვარულით, პატივისცემით და სოლიდარობით,
თქვენი „კავკაზია“

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 92 32 67, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ნომერზე მუშაობდნენ:

მახბუბა სულთანოვა, ტაჯიკეთი;
ალინა შაპოვალოვა, თურქმენეთი;
ალა პიატიბრატოვა, ყირგიზეთი;
ვაფა სალუხი, აზერბაიჯანი;
ალმა ბეკტურგანოვა-ანდერსენი, დანია;
თამარა ოვნათანიანი, სომხეთი;
ანა დათოშვილი, საქართველო;
რანო ბობოჯანოვა, ტაჯიკეთი;
ოქსანა რაიჩინეცი, უკრაინა;
როზა კუხალაშვილი, საქართველო;
სვეტლანა ბეისოვა, ყაზახეთი

ფოტო:

პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო;
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო;
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი;
რანო ბობოჯანოვა, ტაჯიკეთი;
ალმა ბეკტურგანოვა-ანდერსენი, დანია

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედია კავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმანა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კავკასიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედია კავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკასია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია

გენდერმედია კავკასია

www.gmc.ge

<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 77 60 18; (995 99) 90 11 24